



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველოს ადგილი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში

თორნიკე შარაშენიძე

64

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

თორნიკე შარაშენიძე

საქართველოს ადგილი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში

64

2016



პუბლიკაცია დაიბეჭდა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2016 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-9287-9

რუსულ-ქართული ურთიერთობები ერთობ საინტერესო თემაა არა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი საქართველოსათვის წარმოადგენს უსაფრთხოების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას. ეს თემა საინტერესოა, რადგან იგი, ერთი მხრივ, ეხება მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან და გავლენიან სახელმწიფოს, რომელიც ცდილობს მოიპოვოს ექსკლუზიური გავლენის სფერო თავის სამეზობლოში და ითამაშოს მეტ-ნაკლებად ყველასგან დამოუკიდებელი თამაში, ხოლო მეორე მხრივ – საქართველოს – ერთ დროს რუსეთის იმპერიის ნაწილს, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობდა რუსეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რომელსაც რუსული პოლიტიკური ელიტა (და ასევე მოსახლეობის დიდი ნაწილი) დღესაც გამორჩეულ ყურადღებას უთმობს.

საქართველოში რუსეთის მიმართ განწყობა არაერთგვაროვანია. რუსეთს ზოგჯერ მიაწერენ მსოფლიოში ყველა ბოროტებას (მათ შორის, ტერორისტული ორგანიზაციების ფარულ დაფინანსებას) და მასვე აბრალებენ საქართველოს ყველა წარუმატებლობას. არსებობს (თუმცა კი გაცილებით უფრო მარგინალური) საპირისპირო შეხედულება, რომლის მიხედვითაც, რუსეთი არის სულიერების, „ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის“ დამცველი და, მაშასადამე, საქართველოს მფარველიც, რომელმაც საქართველო არაერთხელ იხსნა და რომლის გარეშეც ქვეყანა და ხალხი განწირულია.

მოკლედ, რუსეთის შეფასებაში ემოციები სჭარბობს და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობა ორ საუკუნეზე მეტს ითვლის, ჩვენს ქვეყანაში კვლავაც რუსეთის ცოდნის სერიოზული დეფიციტია. ემოციების სიჭარბის გარდა, ეს განაპირობა იმ ფაქტმაც, რომ საქართველოს ახალი პოლიტიკური ელიტის დიდ ნაწილს დასავლური განათლება აქვს მიღებული და ამიტომ რუსეთის შესწავლისათვის განსაკუთრებული ყურადღება არ დაუთმია. ახალგაზრდა თაობა კი რუსეთს პრაქტიკულად მონყვეტილია და არც რუსული ენა იცის. ეს, ერთი მხრივ, შეიძლება კარგი იყოს, რადგან ამცირებს რუსული პროპაგანდის გავლენას ქვეყანაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, წარმოშობს ცოდნის დიდ დეფიციტს, რასაც საბოლოო ჯამში ნეგატივი მეტი მოაქვს, ვიდრე პოზიტივი.

ყოველივე ზემოთქმული აისახება რუსეთის მისამართით გატარებულ სახელმწიფო პოლიტიკაში. პრაქტიკულად საქართველოს

ყველა პოლიტიკური ელიტა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას, რასაც შემდეგ მუდმივად მოსდევდა იმედგაცრუება და კრიტიკა ოპონენტების მხრიდან. შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ოპონენტებიც ზუსტად იმავე გზას ადგებოდნენ, რასაც პროგნოზირებადი შედეგები მოჰყვებოდა.

ჩვენი მიზანი არ არის ჩამოვაცალიბოთ რუსეთთან დაკავშირებით საქართველოს პოლიტიკის პრიორიტეტები და მიმართულებები. თუმცა, ამავე დროს შევეცდებით გავაანალიზოთ საქართველოს მიმართ რუსეთის დამოკიდებულება, ამ დამოკიდებულების მიზეზები და ისტორიული საფუძვლები და აქედან გამომდინარე ავხსნათ რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. ყოველივე ამის წყალობით ნაშრომი შესაძლოა გამოდგეს რუსეთის მიმართ პოლიტიკის პრინციპების ჩამოყალიბებისთვისაც.

რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს, ტრადიციული ინტერესები

რუსეთი არა მხოლოდ საქართველოს ყველაზე დიდი და ძლიერი მეზობელია, არამედ მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეცაა. ცხადია, რომ ამ მოთამაშეს თავისი ინტერესები აქვს უშუალო სამეზობლოში და, მით უმეტეს, ყოფილ საბჭოთა კავშირში. რუსეთს არაერთი ომი გადაუტანია, რამაც მას უსაფრთხოების სერიოზული კომპლექსი ჩამოუყალიბა. განსაკუთრებით მძიმე იყო მეორე მსოფლიო ომი, რომლის შემდეგაც რუსეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ყველაფერი გაეკეთებინა, რათა მომავალში აეცილებინა მტრის მოულოდნელი თავდასხმა (როგორც აღმოჩნდა, გერმანიის მხრიდან თავდასხმა 1941 წლის 22 ივნისს). შესაბამისად, მაშინ გადაწყდა საბჭოთა კავშირის სამეზობლოში სატელიტი სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რომელთა ტერიტორიებიდან აგრესიის განხორციელება გამორიცხული იქნებოდა. დასავლეთის სახელმწიფოთა (პირველ რიგში, აშშ-ის) ლიდერთათვის ეს სურვილი გასაგები იყო და ისინი შეგუებული იყვნენ იმას, რომ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები რუსეთისადმი (საბჭოთა კავშირისადმი) მეგობრულად უნდა ყოფილიყვნენ განწყობილი და საგარეო პოლიტიკის გატარებისას მოსკოვის ინტერესები უნდა გაეთვალისწინებინათ (დაახლოებით

ისე, როგორც ეს იყო ფინეთის შემთხვევაში, (ცივი ომის დროს). მაგრამ მოსკოვში ჩათვალეს, რომ მხოლოდ ეს მონაპოვარი საკმარისი არ იქნებოდა და საბოლოოდ გადაწყდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სატელიტი კომუნისტური რეჟიმების დასმა. ამის წყალობით საბჭოთა კავშირმა თავის გარშემო უსაფრთხოების სარტყელი კი შექმნა, მაგრამ, მეორე მხრივ, მოსკოვში ვერ გათვალეს, რომ ასეთ ნაბიჯს შესაბამისი რეაქცია მოჰყვებოდა დასავლეთის მხრიდან და რომ საბჭოთა კავშირი მეტად მძიმე კონფრონტაციაში აღმოჩნდებოდა ჩართული, რამაც საბოლოოდ იგი შეინირა კიდეც.

ცხადია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვითარება ამ მხრივ რადიკალურად შეიცვალა – არა მხოლოდ ჩამოიშალა კომუნისტური რეჟიმები, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უდიდესი ნაწილი ნატოში გაერთიანდა და მეორე მსოფლიო იმის შემდეგ შექმნილი უსაფრთხოების სარტყელიც გაქრა. მოსკოვს არასოდეს დაუმაღლავს, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარება მისთვის მიუღებელი იყო და როგორც კი ძალა მოიკრიბა, ნატოს გაფართოებას ყველა შესაძლო გზით შეენინა აღმდეგა. ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა მედვედევმა პირდაპირ განაცხადა, რომ 2008 წლის ომი საქართველოსთან იყო ომი ნატოს გაფართოების წინააღმდეგ. ცხადია, ნაწილობრივ მაინც, ნატოში უკრაინის შესვლის შიშმაც განაპირობა ყირიმის ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინაში შეზღუდული ომის წამოწყება. საერთოდ, რთული სათქმელია რუსეთისათვის სად მთავრდება უცხო სახელმწიფოდან თავდასხმის შიში და სად იწყება იმპერიული გაფართოების სურვილი, თუმცა ალბათ შიშის ფაქტორის ბოლომდე უგულვებელყოფა მაინც არ შეიძლება.

როგორც შიშის, ისე იმპერიული გაფართოების ფაქტორის გათვალისწინებით, რუსეთისათვის კატეგორიულად მიუღებელია მის სამეზობლოში სხვა დიდი სახელმწიფოს ყოფნა (მით უმეტეს კი, თუ ეს სამხედრო ხასიათისაა). ეს დამოკიდებულება ვრცელდება სამხრეთ კავკასიაზეც, რომელიც რუსეთმა მე-19 საუკუნეში სხვა დიდ სახელმწიფოებთან (ადრინდელი თურქეთი და ირანი) ომის შემდეგ შემოიმტკიცა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი რუსეთმა სამხრეთ კავკასიის უდიდესი ნაწილი უომრად დათმო და ამ გარემოებასთან შეგუება ალბათ იოლი არ არის. მით უფრო გამაღიზიანებელია მოსკოვისათვის ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიაში უომრად ფეხს იკიდებს მისი უმთავრესი მეტოქე – აშშ.

ცხადია, როცა შიშის ფაქტორზე ვლაპარაკობთ, ჩნდება კითხვა – რამდენად არის ეს შიში გამართლებული და რატომ არ შეუძლია რუსეთს უფრო მეტად დაუახლოვდეს დასავლეთს (რომლისაც ეშინია), შეერწყას ევროკავშირს და იმუშაოს ნატოში განევრიანებაზეც? მაგრამ ეს კითხვა ლოგიკურად ჟღერს მხოლოდ მაშინ, თუკი რუსეთს შეეხება, როგორც ტიპურ ევროპულ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეებიც, პირველ რიგში, საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ და არა მათი ქვეყნის პრესტიჟსა და დიდებაზე. რუსეთი ასეთი სახელმწიფო ნამდვილად არ არის, იგი საკუთარ თავს აზიას არ მიაკუთვნებს, მაგრამ ამავე დროს არც დასავლეთის სრულფასოვან ნაწილად სურს ქცევა, რადგან ასეთ შემთხვევაში უბრალოდ ევროკავშირის ერთ-ერთ რიგით ქვეყნად იქცევა და დაკარგავს იმას, რაზეც დგას რუსული სახელმწიფოებრივი იდენტობა – ამბიციას იყოს მსოფლიოს ერთ-ერთი პოლუსი. მსოფლიოს ერთ-ერთი პოლუსისათვის კი, ცხადია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია (ისევე და ისევე), სულ მცირე, თავის სამეზობლოზე გავლენის მოპოვება.

რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ – ისტორიული ფონი

რუსეთის განსაკუთრებული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული.

იმპერიული გაფართოების ფაქტორი. თავის დროზე საქართველოს დაპყრობამ საეტაპო როლი შეასრულა რუსეთის იმპერიის ისტორიაში. სწორედ საქართველოს დაპყრობის შემდეგ შეძლო რუსეთმა ჩრდილო კავკასიის საბოლოო დამორჩილება. საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთმა გახსნა ახალი ფრონტის ხაზი თურქეთის წინააღმდეგ საომრად (იქამდე თურქეთს იგი მხოლოდ ბალკანეთის მხრიდან ეომებოდა). საქართველო იქცა ერთგვარ პლაცდარმად, საიდანაც რუსეთმა განაგრძო ექსპანსია სამხრეთ კავკასიაში, ხოლო სამხრეთ კავკასიაში ფეხის მოკიდების შემდეგ რუსეთმა უკვე დაიწყო ექსპანსია შუა აზიაში. ამრიგად, საქართველო იყო ის ქვეყანა, რომლის დაპყრობის შემდეგაც რუსეთმა განახორციელა წარმატებული ომები (არა მხოლოდ თურქეთის, არამედ ასევე ირანისა და ავღანეთის წინააღმდეგ) და შემოიერთა ახალი ტერიტორიები. ამ ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, რუსეთისათვის საქართველოს კონტროლი არის

აუცილებელი პირობა კავკასიის (და ნაწილობრივ შუა აზიის) კონტროლისათვის. ეს არა მხოლოდ ზრდის საქართველოს მნიშვნელობას და წონას რუსეთისათვის, არამედ განაპირობებს იმასაც, რომ რუსეთი განსაკუთრებით მძიმედ აღიქვამს მეტოქე დიდი სახელმწიფოების (პირველ რიგში, ამერიკის) გავლენის ზრდას საქართველოზე – თუკი საქართველო რომელიმე მეტოქე სახელმწიფოს გავლენის ქვეშ აღმოჩნდება, მაშინ ეს სახელმწიფო შეძლებს თავისი გავლენა (და, შესაძლოა, კონტროლიც) გაავრცელოს მთელ კავკასიაზე და, შესაძლოა, შუა აზიაზეც (როგორც ეს გააკეთა თავის დროზე თავად რუსეთმა).

გარდა ამისა, საქართველოს რუსეთისგან ჰყოფს ბუნებრივი ბარიერი კავკასიონის ქედის სახით, რომელიც რეალურად არის საზღვარი რუსეთსა და სამხრეთ კავკასიას შორის. შესაბამისად, რუსეთისათვის დაუშვებელია, რომ ეს ბუნებრივი ბარიერი სხვის ხელში აღმოჩნდეს. კავკასიონის ქედის გარდა, საქართველოს გეოგრაფია გამორჩეულია შავ ზღვაზე გასასვლელითაც. შავი ზღვა ტრადიციულად რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ადგილს წარმოადგენდა და მასზე გავლენის გაფართოება რუსეთის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო. თავის დროზე რუსეთმა ძალიან ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ ხელში ჩაეგდო კონსტანტინოპოლი, კონტროლი დაემყარებინა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე და ამგვარად შავი ზღვა საერთოდ ჩაეკეტა და იქ არ დაეშვა მტრული სახელმწიფოები (თურქეთთან ომებიც სწორედ ამ მიზნით იწარმოებოდა). ეს ჩანაფიქრი საბოლოოდ ვერ განხორციელდა, მაგრამ, ცხადია, შავი ზღვისადმი რუსეთის ინტერესი არსად გამქრალა – ვერ აკონტროლებს რა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს, რუსეთი ცდილობს შავი ზღვის დიდ ნაწილზე მაინც დაამყაროს კონტროლი და ამით მოახდინოს სავარაუდო საფრთხის მინიმალიზაცია. ყირიმის ანექსია კარგად წარმოაჩენს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთი შავ ზღვას.

საქართველოს გეოგრაფია რუსეთისათვის საყურადღებოა ჩრდილო კავკასიასთან მეზობლობითაც. ეს დღევანდელი რუსეთის ყველაზე არასტაბილური რეგიონია და რუსეთის პოლიტიკური ელიტა შიშობს, რომ ქვეყნის დესტაბილიზაცია (და შესაძლოა დეზინტეგრაციის პროცესიც კი) შესაძლოა სწორედ ამ რეგიონიდან დაიწყო და საამისოდ გარე მტრულმა ძალებმა პლაცდარმად საქართველო გამოიყენონ.

ალტერნატიული სავაჭრო-ენერგეტიკული გზის ფაქტორი.
90-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული რუსეთი ყველანაირად ცდილობდა დაებლოკა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი. ცხადია, თავად ეს პროექტი მას დიდ საფრთხეს ვერ უქმნიდა (ამ მილსადენის მიერ გატარებული ნავთობის ოდენობა რუსეთის, როგორც ენერგომომმარაგებლის, პოზიციებს ნამდვილად ვერ არყევს), მაგრამ საფრთხე მომდინარეობდა თავად პრეცედენტიდან, რომ კასპიის ზღვის ენერგორესურსების ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე განხორციელდებოდა რუსეთის გვერდის ავლით. გარდა ამისა, ამ პროექტმა საქართველო დასავლეთისათვის საინტერესო ქვეყნად აქცია და მისი პოზიციები გააძლიერა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანს მოჰყვა ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტი, რამაც მკვეთრად შეამცირა საქართველოს დამოკიდებულება რუსულ გაზზე და ამგვარად იგი კიდევ უფრო მეტად გააძლიერა. ბაქო-თბილისი-ერზრუმის შემდეგ კი დღის წესრიგში დადგა „ნაბუკო“ მშენებლობაც (ერზრუმიდან ბულგარეთზე, რუმინეთზე, უნგრეთსა და ავსტრიაზე მიმავალი გაზსადენი), რომელიც უკვე სეროზულ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის, როგორც ევროპის გაზით მომმარაგებლის, პოზიციებს. „ნაბუკო“ ამ ეტაპზე გაჩერებულია, სწორედ იმის გამო, რომ საამისოდ რუსეთმა დიდი ოდენობით რესურსი დახარჯა (დაიწყო მისი ალტერნატიული „სამხრეთ ნაკადის“ პროექტზე მუშაობა, თუმცა შემდეგ ეს პროექტი შეაჩერა, დაინახა რა, რომ „ნაბუკო“ გაიყინა).

გარდა იმისა, რომ საქართველო ერთგვარად ალტერნატიულ გზას (ან გზის ნაწილს) წარმოადგენს, რუსეთს თუნდაც იმის გამო არ აწყობს საქართველოზე ენერგო და სავაჭრო მარშრუტების განვითარება, რომ ამით საქართველო გაძლიერდება. როგორც ყველა პატარა სახელმწიფოსათვის, საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საკუთარი ფუნქციის პოვნა. სავაჭრო-ენერგეტიკული დერეფანი კი სწორედ ასეთი ფუნქციაა (მით უფრო, რომ საქართველოს ამის ისტორიული გამოცდილება აქვს – დავით აღმაშენებლის პერიოდში ქვეყნის გაძლიერება სწორედ დიდი აზრეშუმის გზის ნაწილად ქცევამ განაპირობა). მისი არქონის შემთხვევაში საქართველო დასუსტდება და იოლად მოექცევა ყველაზე დიდი და ძლიერი მეზობლის (რუსეთის) გავლენის ქვეშ.

დემოკრატიის გავრცელებისა და დასავლეთის გავლენის გაფართოების ფაქტორი. რუსეთისათვის გაცილებით რთულია ზემოქმედების მოხდენა დემოკრატიულ სახელმწიფოებზე და,

აქედან გამომდინარე, მას საფრთხედ მიაჩნია მის სამეზობლოში დემოკრატიის გავრცელება. საქართველოს ჯერჯერობით გარდამავალი პერიოდი აქვს და სრულფასოვან დემოკრატიაზე ბევრი უკლია, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში უკვე მოხდა ხელისუფლების დემოკრატიული გზით შეცვლა, რუსეთისათვის გარკვეულწილად პრობლემატურია, რადგან ეს ნიშნავს, რომ თუკი რუსეთი შეძლებს საქართველოში მისთვის სასურველი მთავრობის დასმას, ეს მთავრობა შეიძლება ხალხმა გადაირჩიოს. გარდა ამისა, რუსეთის დღევანდელ პოლიტიკურ ელიტას „ნარინჯისფერი რევოლუციის“ პანიკური შიში აქვს (რაც კარგად გამოჩნდა უკრაინული მაიდნის საპასუხო ქმედებების მაგალითზე). ასეთი პროცესების უკან რუსეთის პოლიტიკური ელიტა, როგორც წესი, ამერიკის სპეცსამსახურების ხელსა და რევოლუციის ტალღის რუსეთზე გავრცელების მცდელობას ხედავს. ამიტომაც ნებისმიერი დემოკრატიული ტრანსფორმაცია მასში პანიკას იწვევს მაშინაც კი, როცა ეს რუსეთიდან შორეულ რეგიონებში ხსება (მაგალითად, „არაბული გაზაფხული“ ჩრდილო აფრიკაში).

ცხადია, კიდევ უფრო მძიმედ აღიქვამს რუსეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივას. ეს ნიშნავს რეგიონის დემოკრატიზაციას და მისი იმპერიული ამბიციებისათვის უდიდეს დარტყმას. რუსეთის მმართველებს მიაჩნიათ, რომ თავის დროზე მათმა ქვეყანამ სამხრეთ კავკასია საკმაოდ დიდი მსხვერპლისა და ძალისხმევის ფასად ირანსა და თურქეთს წაართვა და ამიტომაც იგი მშვიდობიანად არ უნდა დათმოს. 2008 წლის ომი სწორედ იმის დემონსტრირება იყო, რომ რუსეთი მზადაა რეგიონში თავისი პოზიციების დასაცავად ყველაფერზე წავიდეს.

საქართველოსადმი განსაკუთრებული, ემოციური დამოკიდებულების ფაქტორი. საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუსეთის ცნობიერებაში, რაც არა მხოლოდ მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობითაა განპირობებული. ქართველები რუსეთის პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული ელიტის ნაწილად იქცნენ და მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი იმპერიის ჩამოყალიბება-გაძლიერებას. გენერალ ბაგრატიონის, მენშევიკი ჩხეიძისა და წერეთლის, ბოლშევიკი სტალინისა და ორჯონიკიძის, რეჟისორ დანელიას მაგალითებზე რომ არაფერი არ ვთქვათ,

თბილისში გაიზარდა არაერთი გამოჩენილი რუსი სახელმწიფო მოღვაწე (მაგალითად, პრიმაკოვი). არც ის უნდა დავივინყოთ, რომ საქართველო მე-19 საუკუნიდან მოყოლებული რუსეთის კულტურული და პოლიტიკური ელიტის საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო.

გარდაამისა, რუსეთში გავრცელებულია მითი, რომ ქართველი ერი დაღუპვასა და გამუსულმანებას რუსეთმა გადაარჩინა და რომ თავის დროზე საქართველომ რუსეთს თავად მიმართა შველის სათხოვნელად. არ ღირს შეჩერება იმაზე, თუ რამდენი სიმართლეა ამ მითში. მთავარი ისაა, რომ ამ მითის რუსეთში მტკიცედ სჯერათ და აქედან გამომდინარე, საქართველოს მხრიდან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების და, მით უმეტეს, დასავლეთთან დაახლოების სურვილი რუსეთში უმადურობად აღიქმება და „ლალატის“ კვალიფიკაცია ეძლევა. როცა „ლალატი“ მოდის ერთმორწმუნე ერისგან, რომელიც ოდესღაც ასე დაუახლოვდა იმპერიას და რომელიც იმპერიამ „გადაარჩინა დაღუპვას“, რეაქცია გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე წესით უნდა იყოს. რუსეთის მხრიდან საქართველოსადმი განსაკუთრებულად მტრული დამოკიდებულება 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ალბათ, სხვა ყველაფერთან ერთად, ამითაც აიხსნება. საქართველოს სწრაფვამ დამოუკიდებლობისაკენ (რომელიც 80-იანი წლების ბოლოს გამოვლინდა) და საქართველოს დაახლოებამ დასავლეთთან (რომელიც 90-იანების ბოლოს დაიწყო) რუსეთი გაცილებით უფრო მეტად გააღიზიანა, ვიდრე ანალოგიურმა პროცესებმა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში. საქართველო აღიქმება, როგორც შემცდარი და უმადური შვილი, რომელიც უნდა დაისაჯოს და სასჯელი უნდა მიიღოს, როგორც სრულიად დამსახურებული და კანონიერი.

რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ – დღევანდელი მდგომარეობა

ისევე, როგორც ალბათ ყველა იმპერიას, რუსეთსაც უჭირს თავისი ყოფილი კოლონიების სრულფასოვან სახელმწიფოებად აღქმა. კრემლთან განსაკუთრებულად დაახლოებული ინსტიტუტი, სახელწოდებით რუსეთის სტრატეგიული კვლევების ცენტრი, დაუფარავად აცხადებს, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოექცეს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ

რუსეთი ყოფილ კოლონიებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არათუ ვერ აღიქვამს, არამედ არც უნდა, რომ ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ და ამიტომ მათ შესაბამისადაც ექცევა. ცხადია, გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველოა. უფრო მეტიც, საქართველოსადმი დამოკიდებულებას თავის დამატებით დაღს ასვამს ჩვენი ქვეყნის ახლო ურთიერთობები ამერიკასთან. რუსეთი საერთოდ ამერიკის როლსა და გავლენას გადაჭარბებულად აფასებს და ყველგან ამერიკის ხელს ხედავს. შესაბამისად, იგი გადაჭარბებულად აფასებს ამერიკის გავლენას საქართველოზე. ეს, ცხადია, დამატებითი გამაღიზიანებლის როლს თამაშობს ორმხრივ ურთიერთობებში: რუსეთის გადმოსახედიდან ამერიკამ ხელოვნურად შექმნა საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტები და არმია, დაავინცა ქართველებს რუსული ენა და საერთოდაც, საქართველო რუსეთს გადაამტერა. პროდასავლური კურსის მომხრე ყველა პოლიტიკური ძალა თუ ადამიანი საქართველოში „ამერიკულ პროექტადაა“ მიჩნეული. ეს სწორედ ამერიკა და ამერიკის აგენტები მიათრევენ საქართველოს ნატოში, თორემ ქართველებს მსგავსი რამ თავში არ მოუვიდოდათ.

ნატოს თემა რომ ასე თუ ისე ამოვწუროთ, აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ რუსეთში მიიჩნევენ, რომ ნატო საქართველოსათვის ერთგვარი თვითმიზანია, რომ თითქოსდა საქართველო (უფრო სწორად კი, ამერიკელების მიერ შექმნილი საქართველოს პოლიტიკური ელიტა) ნატოსკენ პირველ რიგში რუსეთის ჯიბრზე მიისწრაფვის. რუსეთში ნაკლებად არის იმის გაგება, რომ ნატო საქართველოში განიხილება, როგორც უსაფრთხოების მიღწევის საშუალება და რომ საქართველოს საამისოდ ლეგიტიმური მიზეზები აქვს. ეს გაგება არ არსებობს, რადგან რადგან, მაგალითად, რუსეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის, რომ რუსეთი პრაქტიკულად ღიად ეხმარებოდა აფხაზ სეპარატისტებს ომის დროს, ხოლო ვინც იცის, მათი უმრავლესობა ამას ამართლებს, რადგან აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას სტალინის გადანყვეტილებით ხსნის, რომელმაც აფხაზეთი „თავის სამშობლოს აჩუქა.“ 2008 წლის ომში დამნაშავედ მთლიანად საქართველო და მამინდელი ქართული ელიტა ცხადდება, რომელიც (ისევ და ისევ) „ამერიკელებმა წააქეზეს“.

აფხაზეთისადმი ეს დამოკიდებულება გამონაკლისს არ წარმოადგენს – ერთიანი საქართველო რუსეთის პოლიტიკური ელიტისა და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ხელოვნურად

შექმნილი ფენომენია. მათი აზრით, ამ ფენომენის შექმნაში დიდი როლი თავის დროზე სწორედ რუსეთმა ითამაშა. რუსეთმა საქართველო ნაწილ-ნაწილ გამოიხსნა მუსლიმი დამპყრობლებისგან და შემდეგ თავისი ფრთის ქვეშ გააერთიანა. თუ რა ადგილი უჭირავს რუსეთის ისტორიულ მეხსიერებაში საქართველოს „მუსლიმი დამპყრობლებისგან გამოხსნისა და გადარჩენის“ ნარატივს, ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

სადღეისოდ საქართველოს მიმართ ინტერესი რუსეთში შედარებით მინაგლულია. საქართველოს აღარ უჭირავს ისეთი ადგილი რუსულ მედიაში, როგორც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, აღარ მიმდინარეობს საქართველოს მიზანმიმართული დემონიზაცია რუსულ მედიაში, რომლის გამოიხობითაც ერთი პერიოდი საქართველო რუსეთის ერთ-ერთ უპირველეს მტრად სახელდებოდა. თუმცა, უახლესმა ისტორიამ დაადასტურა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთის ხელისუფლებას შეუძლია პროპაგანდისტული მანქანის სწრაფად გადაპროგრამება და ნებისმიერი სახელმწიფოს დემონიზაცია, რაც, სხვა ყველაფერთან ერთად, შესაძლოა, მიზნად ისახავდეს ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის განსახორციელებლად საზოგადოებრივი აზრის შემზადებას. ასე რომ, დღევანდელი ურთიერთობათა ერთგვარი დათბობა არც ისე ბევრს ნიშნავს. თუკი საჭიროდ ჩათვლის, მოსკოვი სწრაფად მოახდენს საქართველოს ხელახალ დემონიზაციას ყველა აქედან გამომდინარე შესაძლო შედეგებით.

ეს მით უფრო, რომ რუსეთი არამცთუ აღარ მალავს თავის აგრესიულ განწყობას დასავლეთის მიმართ, არამედ ძალის დემონსტრირების გზით ცდილობს დააფრთხოს დასავლეთიცა და ყოფილი კოლონიებიც (მათ შორის, ცხადია, საქართველოც). ეს უკვე კარგად აისახება რუსეთის ოფიციალურ დოკუმენტებშიც (სამხედრო დოქტრინები, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია). უკვე 2000 წლის სამხედრო დოქტრინაში იყო ლაპარაკი, რომ რუსეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების უფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების შეზღუდვა საფრთხეს წარმოადგენდა და საჭირო იყო მათი დაცვა. თუკი გავიხსენებთ, რომ სწორედ მაშინ დაიწყო რუსული პასპორტების გაცემა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, გასაგები გახდება უპირველესად ვინ იგულისხმებოდა რუსეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მის

მოქალაქეებში. 2008 წლის ომის შემდეგ 2010 წლის დოქტრინაში ტონი გამკაცრებულია და ცხადდება, რომ რუსეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაცვა მოხდება შეიარაღებული ძალების მეშვეობით. იგივე მეორდება 2014 წლის დოქტრინაში.

2010 წლის დოქტრინაში უკვე საფრთხედ ცხადდება ნატოს ინფრასტრუქტურის მიახლოება რუსეთის საზღვრებთან (მათ შორის, ნატოს გაფართოების გზით). 2014 წლის დოქტრინაში ნატოსთან მიმართებაში დაახლოებით იგივე მეორდება და ასევე ჩნდება აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომლებთან თანამშრომლობა ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების განსამტკიცებლად ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად ცხადდება.

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი 2016 წელს გამოქვეყნებულ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების გვერდით სახელდება, როგორც საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი. ნატოს გაფართოება ისევ საფრთხედ ცხადდება.

ამავე დოკუმენტში იკვეთება საინტერესო მომენტი, რომელიც ხაზს უსვამს თანამედროვე რუსეთის დასავლეთთან დაპირისპირებას არა მხოლოდ გეოპოლიტიკურ, არამედ ასევე იდეოლოგიურ და საინფორმაციო ფრონტზე. „მიმდინარეობს რუსეთის ტრადიციული სულიერ-ზნეობრივი ფასეულობების აღორძინება... მიდის კონსოლიდაცია ისეთი ფასეულობების გარშემო, როგორიცაა რუსეთის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჰუმანიზმი, ერთაშორისი მშვიდობა და თანხმობა, რუსეთის ფედერაციის მრავალეროვანი კულტურის ერთობა, ოჯახური და აღმსარებლური ტრადიციების პატივისცემა, პატრიოტიზმი“, – ნათქვამია სტრატეგიაში. არსადაა ნახსენები დემოკრატია და ადამიანის უფლებები.

დასკვნის მაგიერ

რუსეთი საქართველოს აღიქვამს არა მხოლოდ როგორც თავისი ლეგიტიმური გავლენის სფეროს ნაწილს, არამედ როგორც გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანეს მხარეს, რომლის კონტროლიც (ან, სულ მცირე, მასზე დასავლეთის გავლენის არდაშვება) სრულიად აუცილებელია.

რუსეთისათვის საქართველოს სახელმწიფოებრიობა ერთგვარი გაუგებრობაა და, აქედან გამომდინარე, მისთვის ასევე გაუგებარია უსაფრთხოების ის ლეგიტიმური ინტერესები, რომლებიც საქართველოს შეიძლება ჰქონდეს. საქართველოს ინტერესები და მისწრაფებები რუსეთში საკმაოდ დამახინჯებულად და არაადეკვატურად აღიქმება და მის უკან, როგორც წესი, ხედავენ ხოლმე რუსეთის მოწინააღმდეგეების (უპირველესად აშშ-ის) ხელსა და ხრიკებს.

გაზვიადებულია რა ამერიკის გავლენა საქართველოზე და გაზვიადებულია რა რუსეთის დამსახურება საქართველოს გადარჩენა-გაძლიერების საქმეში (და ასევე, ალბათ, საქართველოს როლი რუსეთის იმპერიის უსაფრთხოებაში), რუსეთის გამორჩეულად აგრესიული დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოს მიმართ არანაირად გასაკვირი არ უნდა იყოს.

რუსეთის მხრიდან დამოკიდებულების თვალსაზრისით საქართველოსათვის უმთავრეს პრობლემას ალბათ ის წარმოადგენს, რომ რუსეთის პოლიტიკური ელიტისა და მოსახლეობის დიდი ნაწილის ცნობიერებაში მისი სახელმწიფოებრიობა არალეგიტიმურია და რომ მათი გადასახედიდან საქართველო, წესით, რუსეთის იმპერიის ნაწილი ან, სულ მცირე, მისი გავლენის სფეროს ნაწილი უნდა იყოს.